# სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

## GPA გამოთვლის წესი

1. ილიას სახელმწიფო უნივერსტეტში GPA (Grade Point Average) წარმოადგენს სტუდენტის მიერ თითოეული კურსის ფარგლებში დაგროვებული GP (Grade Point)-ების რაოდენობისა და მოპოვებული კრედიტების ნამრავლთა ჯამის განაყოფს სტუდენტის მიერ გავლილი კურსების კრედიტების ჯამზე:

   **GPA = ∑ ( თითოეული კურსის GP × თითოეული კურსის კრედიტები) / ∑ ( თითოეული კურსის კრედიტების ჯამი);**

2. GP (Grade Point) წარმოადგენს ერთი კურსის ფარგლებში მიღებული შეფასების კონვერტირებულ ქულას 4-ბალიან სკალაზე.

3. GP სისტემის მიხედვით შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

   F - 0-50 ქულა (0 ქულა, Fail)
   E - 51- 60 ქულა
   D - 61- 70 ქულა
   C - 71- 80 ქულა
   B - 81- 90 ქულა
   A - 91- 95 ქულა
   A+ 96 -100 ქულა

4. GP სისტემის მიხედვით, თითოეული კურსის ფარგლებში E კატეგორიის შეფასება (51-60) უცვლელად უდრის 1.00 GP-ს; D, C, B, A კატეგორიების შეფასებები (61 ქულიდან 95 ქულის ჩათვლით) თანაბრად 1/12-ებით (≈0.08-ებით) იზრდება; A+ კატეგორიის შეფასება (96 ქულიდან 100 ქულის ჩათვლით) უცვლელია და 4.00 GP-ს უტოლდება.[1]

5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში GPA გაიცემა ყველა აკადემიური პროგრამის ფარგლებში, გარდა სწავლების სადოქტორო საფეხურისა. ასევე, GPA არ გაიცემა სასერთიფიკატო პროგრამების შემთხვევაში;

---

[1] E და A+ შუალედებში უცვლელი („გაყინული“) GP შეფასების ლოგიკა მეტყველებს იმაზე, რომ ამ შუალედში მიღებულ შეფასებებს შორის სხვაობები მნიშვნელოვანი არ არის. მაგალითად, თუკი სტუდენტი 51-60 ქულის ფარგლებში ფასდება, მნიშვნელობა არ აქვს კონკრეტულად რა ქულა მიიღო - ნებისმიერი ქულა თანაბარმნიშვნელოვნად დაბალია; ანალოგიურად, თუკი სტუდენტი 96-100 ქულის შუალედში ფასდება, მნიშვნელობა აღარ აქვს კონკრეტულად რამდენი ქულა დააგროვა მან - ნებისმიერ შემთხვევაში, მისი ქულა თანაბარმნიშვნელოვნად გამორჩეულად არის მიჩნეული.

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიცემა მხოლოდ საბოლოო GPA, რომელიც აისახება დიპლომის დანართში. აღნიშნული არ ვრცელდება დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან პროგრამაზე;

7. საბოლოო GPA-ის დაანაგრიშებისას წილადები დამრგვალდება მეათედების სიზუსტით.

**ცხრილი 1. კურსის შეფასების კონვერტაცია GP-ს სისტემაზე**

| ნიშანი | A+ | A | B | C | D | E | F |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ქულობრივი სისტემა** | | | | | | | |
| შეფასების ერთეულის ზომა | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| ერთეულების რაოდენობა | 5 | 5 | 10 | 10 | 10 | 10 | 50 |
| ნიშნის ზომა | 5 | 5 | 10 | 10 | 10 | 10 | 50 |
| კუმულაციური შეფასება | 96-100 | 91-95 | 81-90 | 71-80 | 61-70 | 51-60 | 50 |
| **GP სისტემა** | | | | | | | |
| შეფასების ერთეულის ზომა | 0.08 | 0.08 | 0.08 | 0.08 | 0.08 | 1.00 | 0.00 |
| ერთეულების რაოდენობა | 1 | 5 | 10 | 10 | 10 | 1 | 0 |
| ნიშნის ზომა | 0.08 | 0.42 | 0.83 | 0.83 | 0.83 | 1.00 | 0.00 |
| კუმულაციური შეფასება | 4.00 | 3.92 | 3.50 | 2.67 | 1.83 | 1.00 | 0.00 |

**გრაფიკი 2. GP ცვლილების დინამიკა ქულასთან მიმართებით**